

ამ დროს ნაციონალური თეატრი წინსვლას განიცდის და მუშათა კლუბებსა თუ სახალხო სახლებში მოღვაწეობას იწყებენ: ლადო მესხი-შვილი, ვალერიან გუნია, ნატო გაბუნია, კოტე მესხი, მაკო საფაროვა-აბაშიძისა და სხვები. მათი ხელოვნებით დატყვევებულმა საშამ სამუდამოდ შეიყვარა თეატრი და სცენისმოყვარე გახდა. 1909 წელს მშობლიური სოფელ პატარძელში მოაწყო გართობის საღამო. მოკარნახედ სემინარიული გოგლა იყო — ამჟამად პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე.

გომანაზიის დამთავრების შემდეგ საშამ მოსკოვში მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად. სტუდენტობის პერიოდში იგი დაუახლოვდა დიდი თეატრის მეცენატებსა და მსახიობებს. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე სუშკოვაშვილ-იუენთან, მსახიობ ვლადიმერ მაქსიმოვთან და მომღერალ ლეონიდ სობოლივთან. საშამ ქართული სტუდენტების სული და გული იყო. მონაწილეობდა მათ მიერ გამართულ საცემლმოქმედო კონცერტებსა და წარმოდგენებში.

სამშობლოში დაბრუნებისას ალ. ბურთიკაშვილი თეატრალურ დასს „არმაზს“ აარსებს. ამ დასის სცენაზე ფეხი აიდგა საცემელოდ ცნობილმა ხელოვანმა აკაკი ხორავამ, რეჟისორმა და მსახიობმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. მიქელაძემ. თეატრალური ინსტიტუტის ლექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მალოკო მრეცელიშვილმა და სხვ.

დასამ გარკვეული როლი ითამაშა ნაციონალური კადრების მიზიდვის, გამოვლინებისა და დაოსტატების საქმეში.

1921 წელს ალ. ბურთიკაშვილი მიემგზავრება საგარეოში და ქმნის საგარეოსო თეატრს. ეს იყო პირველი შემთხვევა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც, რომ აერივერის თეატრი ზამთარსა და ზაფხულში მართავდა სპექტაკლებს. სხვადასხვა სეზონში სპექტაკლებში მონაწილეობდნენ: ნუცა ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, შოთა დადიანი, მიხეილ ქორელი, არეთა ლოლუა, შაქრო გომელაური, ნიკო გვარამე. კოტე რატიშვილი, გიორგი დარისანაშვილი და სხვები. სცენაზე მათ ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ალ. ბურთიკაშვილი.

1928 წელს ალ. ბურთიკაშვილი მიწვეულ იქნა პროფესიულ დასში (ამჟამად მარჯანიშვილის თეატრი) და ლუზნაჩარსკის „ამფეთქებულსა“ და შაბოველინოვის „აღმართში“ მთავარი როლები დაეკისრა. მსახიობმა სხვადასხვა ხასიათისა და მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა საინტერესო სახეები შექმნა და პრესის, მაყურებლის საერთო მოწონება დაიმსახურა. მაგრამ ავადმყოფობის გამო ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სამსახიობო კარიერა; სეზონის ბოლოს, როგორც მსახიობი, ხამო-დამოდ გამოეთხოვა სცენას. გამოჯანმრთელების შემდეგ, როგორც იურისტი, მუშაობდა გზეთ „კომუნისტში“. ამჟამად იგი გაზეთ „თბილისს“ თანამშრომელია.

„ცმკვის ჯადოქარი“ — ასე ეწოდება ალ. ბურთიკაშვილის ავტორობით გამოქვეყნებული წიგნს, რომელიც 1960 წელს გამოსცა „ხელოვნებამ“. იგი ასახავს თანამედროვეობის უნიკურესი მოცემაგებისა და ბალეტმეტაქსის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სსრკ სახალხო არტისტის ვახტანგ ქმბუჯაიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ავტორი ამ დიდ ხელოვანს ცმკვის ჯადოქარს უწოდებს და სახოფანად აღწერს მის ტრიუმფალურ სელას საბალეტო ხელოვნებაში.